

სკოლის თვითშეფასების მოდელის დანერგვა თბილისის ერთ-ერთ საჯარო სკოლაში

პრაქტიკის კვლევა

მარიამ მჭავია

ნარმინა გუსეინოვა

მარინე ბობოხია

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

ბიზნესის ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე,

მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ნაშრომის ხელმძღვანელი: ნათია ანდლულაძე, ასოცირებული

პროფესორი



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებულია სათანადო წესების შესაბამისად. „

მარიამ მჭავია

ნარმინა გუსეინოვა

მარინე ბობოხია

თარიღი: 26.06.2019

მადლობა

გვსურს, მადლობა გადავუხადოთ იმ ადამიანებს, რომელთა თანადგომითაც განვახორციელეთ პრაქტიკის კვლევა.

განსაკუთრებული მადლობა ჩვენს ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს, ნათია ანდულაძეს, კვლევის პროცესში გაწეული კონსულტაციებისა და თანადგომისთვის. ეს დახმარება გამოიხატებოდა, როგორც შინაარსობრივ, ისე მეთოდოლოგიურ ნაწილთან დაკავშირებული მხარდაჭერითა და უკუკავშირით.

მადლობას ვუხდით პრაქტიკის კვლევაში მონაწილე სკოლას გაწეული შრომისთვის, თანამშრომლობისა და თანადგომისთვის. განსაკუთრებით კი კვლევით ჯგუფს და ამ ჯგუფში ჩართულ მოსწავლეებს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პრაქტიკის კვლევის წარმართვაში.

აგრეთვე, მადლობას ვუხდით პრაქტიკის კვლევის განხორციელებაში მხარდამჭერ არასამთავრობო ორგანიზაციებს და მათ წარმომადგენლებს - „ფსიქედან“ სოფო გიუნაშვილს, ორგანიზაციიდან „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ ქეთევან კალანდაძესა და ქეთევან კოპალიანს და ორგანიზაციის „მშობლები განათლებისთვის“ აღმსარულებელ დირექტორს მეგი კავთუაშვილს.

აბსტრაქტი

განვითარებულ საგანმანათლებლო სისტემებში განათლების სისტემის დეცენტრალიზაციითა და სკოლისთვის მეტი ავტონომიურობის მინიჭებით, სკოლა თავის საქმიანობასთან დაკავშირებით უფრო მეტად ანგარიშვალდებული გახდა საზოგადოების წინაშე. შედეგად, მას თავად დამოუკიდებლად უწევს საკუთარი საქმიანობის შეფასება, რისთვისაც ფართოდ გამოიყენება სკოლის თვითშეფასების მექანიზმი.

2016 წელს საქართველოში შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა დაიწყო საპილოტე პროექტი სახელწოდებით „სკოლის თვითშეფასება განვითარებისთვის“. პროექტის მიზანია, სკოლაში თვითშეფასების დანერგვის გზების ძიება და სკოლის მხარდაჭერა ამ სიახლის ათვისების პროცესში.

წინამდებარე კვლევის მიზანი არის თბილისის ერთ-ერთ საჯარო სკოლაში თვითშეფასების მექანიზმის დანერგვაში სკოლის მხარდაჭერა, რაც ითვალისწინებს შეფასების კუთხით სკოლაში არსებული სიტუაციის შესწავლასა და ცვლილებებზე ორიენტირებული ინტერვენციების შემუშავებას.

კვლევისათვის გამოყენებულია პრაქტიკის კვლევის მეთოდოლოგია, რომელიც სწორედ სიტუაციის შესაფასებლად და ცვლილებების შესატანად გამოიყენება.

კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ სკოლას არ აქვს შიდა შეფასების ისეთი მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებს თვითშეფასების პრინციპებს. თვითშეფასების მექანიზმის დანერგვის პროცესში კი გამოიკვეთა სკოლის არაერთი საჭიროება, რომელთა აღმოფხვრა მნიშვნელოვანია პროცესის ეფექტიანად განხორციელებისთვის.

საბოლოო ჯამში, მოცემული პრაქტიკის კვლევა წარმოაჩენს შეფასების მიმართულებით სკოლის გამოცდილებას და იმ წინააღობებს, რომლებიც ხვდება დაწესებულებას თვითშეფასების მექანიზმის დანერგვის პროცესში. საბოლოო შედეგები ამ კონკრეტული სკოლისთვის ინდივიდუალურია და სხვა სკოლაში

არსებული განსხვავებული მდგომარეობა შესაძლოა, საჭიროებდეს ახალი კვლევის ჩატარებას.

საკვანძო სიტყვები: თვითშეფასება; თვითშეფასების ციკლი; დეცენტრალიზაცია; ავტონომიურობა; ანგარიშვალდებულება; პრაქტიკის კვლევა

Abstract

Due to the decentralization of education system and providing schools with more autonomy in developed educational systems, schools became more accountable about their performance to society. As a result, schools have to independently evaluate their performance for which school self-evaluation mechanism is widely used.

In 2016, National Examination and Assessment Center in Georgia started a pilot project called “School Self-evaluation for Development”. The purpose of the project is to seek for the implementation options of self-evaluation in school and to support the school in the adopting process of the innovation.

The purpose of the presented research is to support the school in the implementation process of self-evaluation mechanism in a public school in Tbilisi, which includes the study of the current situation in terms of evaluation in the school and elaboration change-oriented interventions.

Action research was used as a methodology, which is significant for analyzing of situation and introducing the changes.

As a result of research, it was discovered that the school has no internal evaluation mechanism involving self-evaluation principles. In the implementation process of self-evaluation mechanism several needs were found out which need to be averted in order to effectively implement the process.

In conclusion, given action research demonstrates school practice regarding evaluation and the barriers which the institution faces in the process of the implementation of self-evaluation process. Final outcomes are the school-specific and different situation in another school may require further research.

Keywords: self-evaluation; self-evaluation cycle; decentralization; autonomy; accountability; action research.